შინაგან საქმეთა სამინისტროსა და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმ “ შორის 2019 წლის 21 მარტს გაფორმებულ N199-ე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

ქ. თბილისი 09 ოქტომბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის თია მელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 202352514) შემდგომში ,,მიმწოდებელი“, დირექტორის მინდობილი პირი დავით თეთვაძის სახით, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2019 წლის 21 მარტს გაფორმებულ N199-ე ხელშეკრულების მე-10 მუხლის საფუძველზე (განცხადების ნომერი CON180000112 და CON180000031) და შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის 2019 წლის 03 ოქტომბრის N2623333 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას:

აღწერილობითი ნაწილი:

შინაგან საქმეთა სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის 2019 წლის 03 ოქტომბრის N2623333 სამსახურებრივი ბარათიდან ირკვევა, რომ 2019 წლის 21 მარტს გაფორმებულ N199-ე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საორიენტაციო ღირებულების სრულად ათვისება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ვერ განხორციელდა. აქედან გამომდინარე, საჭიროა შემცირდეს ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება 54376,21 ლარით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა იხელმძღვანელა ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად და მიმწოდებელთან შეთანხმებით მიიღო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული ხელშეკრულები საორიენტაციო ღირებულების შემცირების შესახებ.

დადგენილებითი ნაწილი:

1. ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი N1-ით განსაზღვრული საერთო ღირებულება 369450 ლარი შემცირდეს 54376,21 ლარით და შეადგინოს 315073,79 ლარი.

2. ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება 369450 ლარი შემცირდეს 54376,21 ლარით და შეადგინოს 315073,79 ლარი.

3. ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები/მუხლები დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ შეთანხმების თავში მითითებული თარიღიდან.

5. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2019 წლის 21 მარტს დადებულ N199–ე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM

Digitally signed by LLC SOCAR GEORGIA PETROLEUM
Date: 2019.10.09 10:17:59 +04'00'